88 წელი თქვენთან ერთად!

88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №14 (7043) 15 ივლისი 2021 წელი • www. Terjola. gov. ge

სიძულვილის ენითა და ძალადობით წარმატებულ ქვეყანას ვერ ავაშენებთ!

გაზეთი თერჯოლა

გაზეთი თერჯოლა
9 ივლისი, 13:29-ზე ·

სიძულვილის ენითა და ძალადობით წარმატებულ ქვეყანას ვერ ავაშენებთ!
5 ივლისი უახლეს ქართულ ისტორიაში შევა როგორც ჟურნალისტებზე მასობრივი ჯგუფური ძალადობის დღე.
ის, რაც ამ დღეს ვიხილეთ, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ფერმკრთალდება ჩვენი ეროვნული და რელიგიური ღირებულებები...
ჩვენ, გაზეთ „თერჯოლის" თანამშრომლები, ვისთვისაც პროფესიულ საქმიანობაში ერთმნიშვნელოვნად და კატეგორიულად მიუღებელია საზოგადოებასთან სიძლვილის ენით საუბარი, ყველა_როგორც ერთი, სოლიდარობას ვუცხადებთ ჟურნალისტებს, ოპერატორებსა და მასმედიის სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც ფიზიკურად დაზარალდნენ და გახდნენ კაცთმოძულე ძალადობის მსხვერპლი თბილისში, 5 ივლისის სამარცხვინო მოვლენების დროს...
იმედს ვიტოვებთ, რომ შესაბამისი სტრუქტურები საფუძვლიანად გამოიკვლევენ თითოეულ ფაქტს და დამნაშავეებიც შესაფერისად დასჯებიან.
მტკიცედ გვწამს, რომ სიძულვილის ენითა და ძალადობით წარმატებულ ქვეყანას ვერ ავაშენებთ!

„თერჯოლა"

ეს პოსტი გაზეთ „თერჯოლის“ ფეისბუქგვერდზე რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა. სამწუხაროდ, ერთ-ერთი დაზარალებული, ტვ პირველის ოპერატორი ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა. „თერჯოლა“ თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს და ქართულ ჟურნალისტურ კორპუსს.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞2

ჩვენ ვიცავთ კულტურულ მემკვიდრეობას...

☞5



საფეხბურთო ჩემპიონატები დამთავრდა...

☞6

ჩვენებური საფრანგეთში

ჩვენი სოფელი...

☞3

ჯილდო ორიგინალურ სცენურ დუეტს...

☞8



ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

მუშაობის ეფექტურობაც და ხარისხიც...

სწორედ ეს სამსიტყვიანი საზომი ესადაგება იმ მოთხოვნებს, რომლებიც მუნიციპალიტეტის მერმა **ლაშა გოგიაშვილმა** დაუყენა მორიგი თათბირის მონაწილეებს— მერიის სამსახურებისა და განყოფილებათა უფროსებს, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს.

თათბირს ასევე ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, **მანუჩარ რობაქიძე** და მოადგილე, **მირზა ქოჩიაშვილი.**

მუნიციპალიტეტის მერმა თამანშრომელს იურიდიული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ახალი ხელმძღვანელი, სოსო ობოლაძე წარუდგინა და სამომავლოდ წარმატებები უსურვა მას.

მუნიციპალიტეტის მერმა, შემდეგ პანდემიის მიმართულებით თერჯოლაში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა, Covid-19-ის მართვის პროცესსა და ეპიდვითარების სტაბილიზაციის თვალსაზრისით თანამშრომლებს მაქსიმალური სიფრთხილისკენ და რეგულაციების დაცვისკენ მოუწოდა.

ხელმძღვანელმა პირებმა სამუშაო შეხვედრაზე მერის წარმომადგენლებისგან სოფლებში არსებული მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს. იმსჯელეს პრობლემური საკითხების გადაჭრის გზებსა და სამომავლო გეგმებზე. კერძოდ, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებსა და სოციალურ საკითხებზე.

როგორც ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, გოდერძი თურქაძემ აღნიშნა: „ სოფლის მხარდაჭერი პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარეობს სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაციების გამოსავლენად ბაზრის კვლევა, რომლის დასრულების შემდეგ დაიწყება სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. გარდა ამისა , აქტიურ ფაზაშია სოციალურად შეჭირვებული ხუთი ოჯახისათვის სახლების მშენებლობის პროცესი, მუნიციპალიტეტის მერია მუდმივად აწარმოებს მონიტორინგს სამშენებლო სამუშაოების ხარიასხიანად წარმართვისა და შესაბამის ვადაში დასრულების საქმეში“—განაცხადა მან.

სოციალური სამსახურის უფროსმა, დიანა ფოცხვერაშვილმა, ისაუბრა სოციალური პროგრამების წარმატებით განხორციელებაზე, დეტალურად განიხილა ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პროგრამების ეფექტურ მუშაობას შეუწყობს ხელს.

მუნიციპალიტეტის მერმა, წარმომადგენლებს ყველა დოკუმენტის ყურადღებით შესწავლა დაავალა, რათა სწორად გადანაწილდეს დახმარების გაცემა და მეტმა ადამიანმა შეძლოს სოციალური პროგრამებით სარგებლობა.

თათბირის შედეგები მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა შეჯამა, მისი თქმით, სამუშაო შეხვედრები მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება, რათა მოსახლეობის მხრიდან დასმული ყველა საკითხის განხილვა მოხდეს დროულად და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

რუფოთსა და ტელეფაში ახალი წყალსადენი ეწყობა

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, რეგიონების მასშტაბით აქტიურად განაგრძობს მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის პროექტების განხორციელებას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლების, რუფოთისა და ტელეფას წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები უკვე აქტიურად მიმდინარეობს.

რუფოთსა და ტელეფაში დღემდე არ არსებობს სასმელი წყლის ცენტრალიზებული სისტემა, მოსახლეობა ეზოებში თვითნებურად მოწყობილი ჭებით სარგებლობს. აღნიშნული სოფლების სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის რიგი უბნები მარაგდება თერჯოლის წყალმომარაგების ქსელიდან.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რეზერვუარის, სატუმბი სადგურისა და წყალმომარაგების სრულიად ახალი სისტემის მოწყობა. სამუშაოებს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 8 400 000 ლარზე მეტი მოხმარდება.

კონტრაქტორმა კომპანიამ საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები 2023 წლის გაზაფხულზე უნდა დაასრულოს, რის შემდეგაც 2 500-ზე მეტი ადამიანი სტაბილური წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

სასარგებლო აქცია უფასოდ

განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის, მეტყველების განვითარებისა და კორექციის ცენტრ „ლოგომედი“-ს ერთობლივი ინიციატივით და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით თერჯოლაში, ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის მეტყველების დარღვევათა სრული დიაგნოსტირების მიზნით უფასო აქცია ჩატარდა.

აქცია მეტყველების ნებისმიერი ტიპის დარღვევათა აღმოჩენას, დიაგნოსტიკას, მიზეზის დადგენას, პრობლემის დასაძლევად საჭირო ღონისძიებებისა და მოქმედების გეგმის დასახვას ითვალისწინებდა მიზნად.

მეტყველების უფასო დიაგნოსტიკის ფარგლებში პაციენტებს ჩაუტარდათ შესაბამისი გამოკვლევები და მიეცათ შემდგომი რეკომენდაციები.

აქცია, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩატარდა.

„ქართული კულტურული დღეები 2021“

ამ დღეების ფარგლებში საქართველოს სტუდენტური პარლამენტის ორგანიზებით ტარდება „ქართული კულტურის დღეები 2021 “ და მასში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია ფინანსური ჩართულობით მონაწილეობს.

პროექტი „ I see you - გააცანი მსოფლიო და განავითარე შენი რაიონი—შენი ქალაქი“ გულისხმობს სხვადასხვა მეთოდებით და პროექტებით არაფორმალური განათლების (ლექციები, ბანაკები საქართველოს ტერიტორიაზე) პოპულარიზაციას, ახალგაზრდა ლიდერების ჩამოყალიბებას და მათი უნარების განვითარებას.

სწორედ მათთან გამართა შეხვედრა გასულ კვირას მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდული იდეების წახალისება და ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში მესტიაში 15 ახალგაზრდა გაემგზავრება, სადაც ექნებათ შესაძლებლობა მოისმინონ ტრენინგი სხვადასხვა თემატიკაზე.

ვფიქრობ აღნიშნულ ბანაკში მონაწილეობა კიდევ უფრო განავითარებს ახალგაზრდებში ისეთ სოციალური უნარებს, რომელიც დაეხმარებათ საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში. მინდა თითოეულ მათგანს წარმატებები ვუსურვო სამომავლო გეგმებსა და საქმიანობაში“—განაცხადა, ლაშა გოგიაშვილმა.

პროექტში „ქართული კულტურის დღეები 2021“ – მონაწილეთა რაოდენობა მუნციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის ინიციატივით გაიზარდა და მესტიის ბანაკში წელს 15 ახალგაზრდა თერჯოლელი გაემგზავრება.

ახალგაზრდებმა მუნიციპალიტეტის მერს მადლობა გადაუხადეს აღნიშნული პროექტის მხარდაჭერისათვის,როგორც მათ აღნიშნეს, თერჯოლის მერია ყოველთვის გამოხატავს მზაობას და ხელშეწყობას ახალგაზრდული იდეების განხორციელების საქმეში.



სამოქალაქო საზოგადოება საჯარო პოლიტიკაში...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტომ საქართველო (LDA Georgia), მერიის თანამშრომელებთან და ა(ა)იპის ხელმძღვანელებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართა.

აქტივობის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდის ხელშეწყობა საჯარო პოლიტიკაში. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, რამდენად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა საჯარო პოლიტიკაში.

პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს წარმომადგენლებმა, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთის კოვიდ 19-ის შემდგომი გამოწვევები განიხილეს, ასევე იმსჯელეს კვლევის შედეგად გამოკვეთილ პრობლემებსა და შემუშავებულ რეკომენდაციებზე.

პროექტი ხორციელდება კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი(CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC), და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

ჩვენი სოფელი...

ახალთერჯოლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული

ჩხარის თემში გაერთიანებულ სოფელ „მწუხარელას“ 1930 წელს სოფლის ყრილობაზე სახელი შეეცვალა და ახალთერჯოლა ეწოდა. სოფლის ძველი სახელი სიტყვა მწუხარებას უკავშირდება. „უცხოსა ბოროტსა და ჭირსა ზედა“-ო განმარტავს სულხან საბა.

აუტანელ პირობებში ცხოვრობდა ხალხი მწუხარელაში. გაძლიერებულ თურქულ შემოსევებს, რბევა-აწიოკებას, ადამიანების ტყვედ აყვანას და მოტაცებას, შიმშილს და გაჭირვებას ხალხი ვეღარ უმკლავდებოდა, მათ წელში წყვეტდა საეკლესიო და საბატონო გადასახადები, გლეხობა მცირე მიწის, მსხვილფეხა პირუტყვის და ცოცხალი გამწევი ძალის გარეშე იყო დარჩენილი, არ ჰყავდათ ექიმი, ადამიანები წითელასა და ყვავილის მსხვერპლნი ხდებოდნენ, სამკურნალო საშუალებად გიტარას და ჩონგურს იყენებდნენ, ავადმყოფებს უმღეროდნენ.

* * *

აქ, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ავტომანქანის გამოჩენაც კი განცვიფრებას იწვევდა, მოსახლეობა ჩასაცმელად სახლში მოქსოვილ ტანსაცმელს იყენებდა, კერავდნენ ქალამნებს, ზოგჯერ სოფელში ებრაელები შემოდიოდნენ, ჩითსა და ნარმას ყიდდნენ უკეთეს პირობებში მცხოვრებ ოჯახებზე.

სწორედ ამ პერიოდში 1935 წელს ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა, შეიქმნა სასოფლო საბჭო, გლეხობა საკოლმეურნეო შრომაში ჩაება, მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა. სოფლის მყუდროება საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმამ დაარღვია. ახალთერჯოლიდან 215 კაცი ფრონტზე წავიდა, 117 აღარ დაბრუნებულა. ომის დამთავრების შემდეგ მალევე აღდგა ომის მძიმე შედეგები. 1970 წლისათვის სოფელში უკვე 550 კომლია, 235 შრომისუნარიანი წევრით. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია მევენახეობა, მეჩაიეობა, მეცხოველეობა, მემარცვლეობა. ვენახს ეკავა 95,5 ჰექტარი, ჩაის კულტურას 6,2 ჰექტარი, მარცვლეულს 242 ჰექტარი, კოლმეურნეობის ფუნდამა შემოსავალმა 3 წელიწადში შეადგინა 273 081 მანეთი, აქედან მევენახეობიდან 154 506 მანეთი, ჩაის კულტურიდან 26 256 მანეთი, მარცვლეული კულტურებიდან 64 568 მანეთი. 1968 წელს კოლმეურნეობის წლიურმა შემოსავლებმა 77 778 მანეთი შეადგინა, 1969 წელს 115 983 მანეთი, შემოსავლების ზრდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოყვანას უკავშირდებოდა.

* * *

დროთა განმავლობაში ძირფესვიანად გაუმჯობესდა კოლმეურნეობის ეკონომიკა, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა, მოსახლეობის 90%-ს უკვე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი აქვს, ელექტროფიცირებულ სოფელში გაჩნდა ტელევიზორი, რადიო, გაიხსნა ბიბლიოთეკა, ფოსტა-ტელეგრაფი, სამედიცინო პუნქტი, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები.

ახალთერჯოლა დღეს

ახლა სოფელ ახალთერჯოლაში 1500 ადამიანი ცხოვრობს, მოსახლეობის 15% სოფლიდან გასულია, ძირითადად დედაქალაქში და საზღვარგარეთ. როგორც ყველგან, აქაც მცირეა დასაქმებულთა რიცხვი, სოფლის მოსახლეობა პირად მეურნეობას მისდევს, რომელიც ახლა დამხმარე მეურნეობად აღარ იწოდება, ძირითადია.

ახალთერჯოლის ადმინისტრაციულ ერთეულში ორი სოფელი: ბოსელა და ახალთერჯოლა შედის. აქ ყველას ჰყავს მსხვილფეხა პირუტყვი. სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები ჭარბი არ არის, იშვიათად ჰყიდიან, ჭირს ფულადი შემოსავლები, მაგრამ „პური და მარილი“ აქ ყველას აქვს, როგორც მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა გრიგოლ კუბლაშვილმა თქვა—იმერეთის ეს ლამაზი კუთხე ყოველთვის მზად არის უმასპინძლოს მსოფლიოს ნებისმიერ სტუმარს და დიდი გრძნობით გაუზიაროს სითბო და სიყვარული, უჩვენოს სტუმარ-მასპინძლობის ფეხგადგმული ტრადიციის დაცვის და მისი მარად სრულყოფის მაგალითები.

* * *

2017 წლიდან სოფელში მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. წლებია მოქმედებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამა: სხვადასხვა დროს მოეწყო შიდა საუბნო გზები, სანიაღვრე არხები და ხიდ-ბოგირები, ცხაურები, სოფლის ცენტრალურ მონაკვეთზე ასფალტო-ბეტონის 3 კილომეტრიანი გზა. არმირებული ბეტონის გზა სოფლის ცენტრიდან ბუცხრიკიძეების უბნამდე და სხვა რთულ მონაკვეთზე, მოეწყო გურულებისა და აბულაძეების უბნებიდან სასაფლაოზე მისასვლელი გზა. სოფლის ცენტრში მოეწყო გარე განათება, ახალგაზრდების თანადგომით სოფლის ცენტრში დაირგო 150 ძირი სხვადასხვა ჯიშის ხე, დაგეგმილია სკვერის მოწყობა და მინი სპორტული მოედნის მშენებლობა, რომელიც გიგა ცერცვაძის სახელობის იქნება, მშენებლობისათვის გამოყოფილია 30 000 ლარი. მალე დაიწყება მაღაზიის აშენება სოფლის ცენტრში, რომლითაც ისარგებლებს მთელი სოფელი და რაც მთავარი—ახდება ახალთერჯოლელთა ოცნება სასმელი წყლით მომარაგების თაობაზე, რომლის საპროექტო ღირებულება 1 790 000 ლარია და გათვლილია 550 ოჯახზე.

ისინი გადაწყვეტილებებს ერთად იღებენ...

გრიგოლ კუბლაშვილი სოფლის წარმომადგენლად 2020 წლის სექტემბერში დაინიშნა, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში გიორგი რობაქიძე კი ახალთერჯოლელი მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ აირჩია და არც შემცდარან. „ყველა სახის საქმიანობის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული სოფლის დეპუტატი, ფაქტიურად ყველა საქმეს ერთად ვაკეთებთ, გადაწყვეტილებას ერთად ვიღებთ, ჩვენი დიდი ხნის მეგობრობა წაადგა საქმეს“, თქვა გრიგოლმა და კმაყოფილება გამოხატა იმ ადამიანების მისამართით, რომლებიც სხვადასხვა სამსახურში არიან, როგორც მუნიციპალიტეტში ისე მის ფარგლებს გარეთ. „სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის გვერდით დგომამ, სტიმული მოგვცა, რომ კიდევ მეტი საქმე ვაკეთოთ“.

2017 წლიდან დღემდე ახალთერჯოლაში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოყოფილმა თანხამ 1 300 000 ლარი, ხოლო სოფლების მხარდაჭერის პროგრამით 90 000 ლარი შეადგინა. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა საჯარო სკოლაში, სადაც მოეწყოპ სველი წერტილები, შეიცვალა შენობის სახურავი, ჩატარდა ამბულატორიის რემონტი.

წლების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სოციალურ პროგრამებს. ყველაზე დამაჯერებელი ციფრებია და აი ისინიც.

მედიკამენტებისათვის—12 111 ლარი;

სურსათისათვის—10 880 ლარი;

სახლდაზიანებისათვის—11 900 ლარი;

ფინანსური—72 500 ლარი;

თანადაფინანსების—61 432 ლარი;

ახალშობილებზე—9 850 ლარი;

ეპილეფსია, პარკინსონი— 12 300 ლარი;

უსინათლოთა— 2 455 ლარ;

18 წლამდე დიაბეტი, ფენილკეტონურია— 1 400 ლარი;

დიალეზი—9 750 ლარი;

„ბოსელა და ახალთერჯოლა შედის. აქ ყველას ჰყავს მსხვილფეხა პირუტყვი. სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები ჭარბი არ არის, იშვიათად ჰყიდიან, ჭირს ფულადი შემოსავლები, მაგრამ „პური და მარილი“ აქ ყველას აქვს, როგორც მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა გრიგოლ კუბლაშვილმა თქვა—იმერეთის ეს ლამაზი კუთხე ყოველთვის მზად არის უმასპინძლოს მსოფლიოს ნებისმიერ სტუმარს და დიდი გრძნობით გაუზიაროს სითბო და სიყვარული, უჩვენოს სტუმარ-მასპინძლობის ფეხგადგმული ტრადიციის დაცვის და მისი მარად სრულყოფის მაგალითები.

* * *

2017 წლიდან სოფელში მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. წლებია მოქმედებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამა: სხვადასხვა დროს მოეწყო შიდა საუბნო გზები, სანიაღვრე არხები და ხიდ-ბოგირები, ცხაურები, სოფლის ცენტრალურ მონაკვეთზე ასფალტო-ბეტონის 3 კილომეტრიანი გზა. არმირებული ბეტონის გზა სოფლის ცენტრიდან ბუცხრიკიძეების უბნამდე და სხვა რთულ მონაკვეთზე, მოეწყო გურულებისა და აბულაძეების უბნებიდან სასაფლაოზე მისასვლელი გზა. სოფლის ცენტრში მოეწყო გარე განათება, ახალგაზრდების თანადგომით სოფლის ცენტრში დაირგო 150 ძირი სხვადასხვა ჯიშის ხე, დაგეგმილია სკვერის მოწყობა და მინი სპორტული მოედნის მშენებლობა, რომელიც გიგა ცერცვაძის სახელობის იქნება, მშენებლობისათვის გამოყოფილია 30 000 ლარი. მალე დაიწყება მაღაზიის აშენება სოფლის ცენტრში, რომლითაც ისარგებლებს მთელი სოფელი და რაც მთავარი—ახდება ახალთერჯოლელთა ოცნება სასმელი წყლით მომარაგების თაობაზე, რომლის საპროექტო ღირებულება 1 790 000 ლარია და გათვლილია 550 ოჯახზე.

ისინი გადაწყვეტილებებს ერთად იღებენ...

გრიგოლ კუბლაშვილი სოფლის წარმომადგენლად 2020 წლის სექტემბერში დაინიშნა, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში გიორგი რობაქიძე კი ახალთერჯოლელი მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ აირჩია და არც შემცდარან. „ყველა სახის საქმიანობის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული სოფლის დეპუტატი, ფაქტიურად ყველა საქმეს ერთად ვაკეთებთ, გადაწყვეტილებას ერთად ვიღებთ, ჩვენი დიდი ხნის მეგობრობა წაადგა საქმეს“, თქვა გრიგოლმა და კმაყოფილება გამოხატა იმ ადამიანების მისამართით, რომლებიც სხვადასხვა სამსახურში არიან, როგორც მუნიციპალიტეტში ისე მის ფარგლებს გარეთ. „სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის გვერდით დგომამ, სტიმული მოგვცა, რომ კიდევ მეტი საქმე ვაკეთოთ“.

გრიგოლი და გიორგი ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსახლეობაში მცირე ბიზნესის განვითარებას, გრიგოლმა პირადი გამოცდილება გაიხსენა, თავის დროზე მასაც დაეხმარნენ, მერე კი სხვას თავად დაეხმარა, „დავეხმარები ყველა დაინტერესებულ ოჯახს, რათა განავითარონ შესაძლებლობები, აიხდინონ სურვილი, ერთად მოვიძოთ დაფინანსების წყაროები“.

სოფელში არის ერთად-ერთი ოჯახი, რომელიც მეღვინეობისა და მეფუტკრეობის ბიზნესს მისდევს—ლაშა და ზაალ გურულები, ამასთან ერთად ტურიზმსაც უწყობენ ხელს. „მცირე ზომის მარნების და საოჯახო სასტუმროების განვითარებაზე პირადად ვიზრუნებო“—ამბობს გრიგოლი და ამით თავის წინა საქმიანობის სიყვარულს უსვამს ხაზს.

* * *

სოფლის ხელმძღვანელს და დეპუტატს აქვთ სამომავლო გეგმები. დაგეგმილია სხვადასხვა სახის სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარება, წელს მოეწყობა ახალგაზრდული ბანაკი. ჩატარდებაა მინი ფეხბურთის ჩემპიონატი, რომელიც ტრაგიკულად დაღუპულ გიგა ცერცვაძის სახელობის იქნება. სოფლის წარმომადგენელს და დეპუტატს მიზანი ერთი აქვთ—სოფელი იყოს ძლიერი, ხელი შეუწყონ ყველა სახის ინფრასტრუქტურული და სოფლის დახმარების პროგრამით გათვალისწინებული პროექტის განხორციელებას, იყვნენ ერთგულნი მინდობილი საქმის მიმართ და სოფლის მიმართ ინტერესები კიდევ უფრო გაუძლიერონ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ მუშაკებს, საქართველოს პარლამენტის დეპუტატს, რომლებიც გვერდში უდგანან და რამდენიმე საქმეში პირადად იყვნენ ჩართულნი.

* * *

მალე ერთი წელი გახდება, გრიგოლ კუბლაშვილი სოფლის ხელმძღვანელია —მარტო მისი მუშაობის რამდენიმე თვეში დადგენილ ვადებში განხორციელდა სოფლის პროგრამები, მნიშვნელოვანი იყო გამწვანების აქცია, გარე განათების მოწყობა და დასუფთავების სამუშაოები.

გასაკეთებელი კი ბევრია, მისთვის სტიმულია სოფლის მოსახლეობის ერთიანობა, დამოკიდებულება გასაკეთებელი საქმის მიმართ და გვერდით დგომა—ხალხი ელის დახმარებას— სოფლის ცენტრის კეთილმოწყობის, მინი სპორტული სამუშაოების დაწყებაში.

რა მინდა? დაუსვა შეკითხვა გრიგოლ კუბლაშვილმა თავის თავს და თვითონვე უპასუხა—სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობა, სოფლიდან წასული მოსახლეობის თხუთმეტივე პროცენტის უკან დაბრუნება და საარსებო საშუალებების აქ მონახვა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის კვლავაც განვითარება, რომ ყველა ადამიანმა ცხოვრების სასურველი პირობები შეიქმნას. უფრო შორს თუ წავალთ—მშვიდობა მინდა, სიყვარულის გაძლიერება, ქვეყნის ტურისტული მთლიანობის აღდგენა. მინდა, დამოუკიდებლად ცხოვრება, ეროვნული და პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავება და გაძლიერება, ეკონომიკური დამოუკიდებულობა მინდა...

და გაგრძელდება გასვლები მოსახლეობაში, მოეწყობა შეკრებები მათი მოთხოვნილებების და საჭიროებების შესასწავლად, წინ წამოიწევა პრიორიტეტები და სამართლიანად გადაწყდება საკითხები, ცხადია ყველა არა, მაგრამ სურვილი და ძალისხმევა სრულად იქნება რეალიზებული.

ჟუჟუნა ცხადაძე

სტიქიამ მოსავალი სათუო გახადა, როგორ მოვიქცეთ?

ახლა წლის ის დროა მეურნე კაცმა რომ უნდა მოინიშნოს წლის მონაგარი. გათვალოს რომელი კულტურის მოსავალი იქნება უხვად, რომელის არა, რომლის ნაჭარბი პროდუქცია შეიძლება გაიტანოს გასაყიდად და რომლისა პირიქით—ბაზარში იყიდოს. ასე იყო ოდითგან, მაგრამ მაშინ (უმეტესად ყოველ შემთხვევაში) კლიმატური პირობები უწყობდა ხელს.

სამწუხაროდ და სოფლის მაცხოვრებელთა სავალალოდ, კლიმატი სულ უფრო მკაცრი ხდება. გლობალური დათბობის შედეგად (ამას წყალი არ გაუვა) არნახული გვალვები, ბოლო წლებია, სათუოს ხდის, ღია სივრცეში, მოსავლის მოყვანას. საფიქრალ-სადარდებელი განსაკუთრებით დიდი აქვს ჩვენებურ გლეხკაცს. იმერეთის ურწყავ მიწებზე ასეთ სიცხეებში, მაის-ივნისში რომ ტემპერატურა 40^0-ს აჭარბებს, მოსავლის მოყვანა თითქმის შეუძლებელი ხდება. ლობიოზე წელს აღარაა ლაპარაკი, ერთიანად ახუხა, სიმინდი (სასწაული კულტურაა ეს დალოცვილი) ჯერ კიდევ უძლებს, მაგრამ მასაც ხომ აქვს შესაძლებლობის ზღვარი, მალე ქუჩუჩოს წააგდებს და ტარომ ჭირი მოგჭამათ.

ორი თვეა აპრილის შემდეგ ხეირიანი წვიმა არ მოსულა, 4 ივლისს, როგორც იქნა, გაწვიმდა, მაგრამ...

გავესაუბრეთ ცალკეულ მეურნეებს, მათი საწუხარი იდენტურია: აღარ ვიცი რა ვქნა, ყოველწლიურად უარესდება ამინდის საქმე. გვეუბნება ზედა ალისუბნელი მ. ბუცხრიკიძე. რა მეგონა თუ წელს შარშანდელ გვალვას ვინატრებდით. სიმინდი და ლობიო როგორ ვერ უნდა მოიყვანო კაცმა, მწვანილის საყიდლადაც ბაზარში რავა უნდა წახვიდე... საერთოდ, აღარ მინდა ხოლმე დავხნა და დავთესო, მაგრამ მოვა თუ არა გაზაფხული არ მიშობა გული კაკალი არ ჩავაგდო. ხომ მოვკვდი კაცი ჩემი საკარმიდამო გავერანებული დავინახო. აგერ, მშვენივრად იყო აღმონაცენი განვითარებული, მაგრამ დააჭირა სიცხემ და ლობიო ერთიანად აახმო, ბოსტანი გადარუჯა, სიმინდიც ააფორაჯა. ვენახს ჯერჯერობით არა უშავს, ღრმად აქვს ფესვები, მაგრამ ასეთ გვალვას ვერც ის გაუძლებს. 3 თვეა წვიმას ველოდებით. 4 ივლისს გაწვიმდა, მაგრამ, თქვენს მტერს, ისეთი გრიგალი მოვარდა დასავლეთის თქეშით, რომ ერთიანად მოატიალა ყველაფერი, ჩალეწა და ჩაამტვრია სიმინდის ყანები...

გთხოვთ გაგვიგოთ ასეთ დროს, როცა ამინდი სტიქიურ უბედურებად იქცევა, გაგვინადგურებს მოსავალს, რა დახმარება შეიძლება მეურნეებმა მივიღოთ სახელმწიფოდან?

ჩვენც ვითარებაში გარკვევისა და პასუხისათვის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს მივაშურეთ. სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მინდია ქარქაშაძემ გაგვიმარტა, რომ რაიმე პროგრამა, რომლითაც მოსავლის დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში, ფერმერი ისარგებლებს ერთდროული დახმარებით, ჯერჯერობით არ არსებობს. არის საყოველთაოდ აპრობირებული ფორმა, ესაა მოსავლის დაზღვევა. აი, სპეციალური ბუკლეტი, სადაც გარკვევით წერია თუ როგორ უნდა ჩაერთოს მოსავლის დაზღვევაში მეურნე. მსურველს შეუძლია მოვიდეს ჩვენს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში და მას საჭირო მითითებებს მივაწვდით.

აქვე გთავაზობთ ზოგიერთ ცნობებს, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ერთიანი აგროპროექტიდან—აგროდაზღვევა:

პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი (მარცვლეული კულტურების შემთხვევაში 30 ჰა). მიწის ფართობის ოდენობის შეზღუდვა არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე.

—დასაზღვევად მიიღება მხოლოდ დარეგისტრირებული ფართობები.

—დაზღვევა ეხება შემდეგ კულტურებს: მარცვლეული, ბოსტნეული, ბაღჩეული, ვაზი, ხეხილი, ციტრუსი.

—აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი მოიცავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, ქარიშხალი, წყალდიდობა, საშემოდგომო ყინვა.

ბენეფიციარი,ზარალის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურებას მიიღებს აქტის ხელმოწერიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

ი. ერაძე

იგი იტყვის სათქმელს...

სკოლის სახელს კარგი მასწავლებელი და ასეთივე მოსწავლე ამკვიდრებს. ნელ-ნელა იქმნება ისტორია და მიიღწევა გამორჩეული ადგილი საგანმანათლებლო სისტემაში.

თერჯოლის მეორე საჯარო სკოლას (დირექტორი რუსუდან უსუფაშვილი) კარგახანია აქვს მოპოვებული ასეთი გამორჩეული ადგილი. არა ერთი და ორი სასახელო თაობა თუ მოსწავლე აღუზრდია სკოლას, მის პედაგოგიურ კოლექტივს.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ მოსწავლეზე უნდა გითხრათ ორიოდე სიტყვა.

გიორგი ჯუღელი

გიორგი ახლა მეთორმეტე კლასშია, იგი გამორჩეული, უნარიანი მოსწავლეა და წარმატებული ყველა საგანში. სკოლაში დანერგილმა პრაქტიკამ—ყოველი მოსწავლის, თვით გიორგის ინტერესების შესწავლამ, საუბრებმა, დაკვირვებებმა, ნამუშევრების ანალიზმა, ბავშვობის ბიოგრაფიის შესწავლამ, მასზე ყველა და მრავალნაირი მონაცემების შეკრებამ ხელი შეუწყო სწავლა-აღზრდის სწორი მეთოდების გამომუშავებას და აისახა კიდეც გიორგის მომავალზე, თუმცა მისი უკეთესი მომავალი აწი იწყება, რომლის საფუძველი ჩაყრილია, თვითგამორკვევის—საკუთარი ადგილის მონახვის პროცესი დამთავრებულია.

ერთ წელიწადში გიორგი აბიტურიენტი იქნება. რა პროფესიაც არ უნდა აირჩიოს, წარმატებები და სტუდენტობა გარანტირებული აქვს, 100%-იანი გრანტით ჩარიცხვის შემთხვევაში, გიორგის „თემას“ ისევ დავუბრუნდებით.

* * *

სკოლის დირექტორი რუსუდან უსუფაშვილი, კლასის ხელმძღვანელი ეკა კირკიტაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი რაია მაჩაიძე, ისტორიის იზოლდა ვარდოსანიძე, გეოგრაფიისა მაია ცხელიშვილი, ინგლისურის თეა ტალახაძე—კმაყოფილებით აღნიშნავენ გიორგის წარმატებებს. სწორედ მათი დამსახურებაა გიორგის მორიგი საუკეთესო შედეგი ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაზე.

ამ ოლიმპიადაზე მონაწილეობას იღებდა ქვეყნის მასშტაბით მრავალი გამორჩეული მოსწავლე. გიორგიმ წარმატებით გადალახა ოლიმპიადის ორი ტური და მესამე ტურშიც საუკეთესო შედეგი აჩვენა. ქართულ ენასა და ლიტერსტურაში 40-იდან 32 ქულა, ისტორიაში 25-დან 20 ქულა დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ გიოროგი 2020-2021 სასწავლო წელს თერჯოლის ეტალონი მოსწავლე გახდა. სკოლის დირექტორის თქმით გიორგის ძლიერი მხარე სკოლის სახელის წარმოჩენაა, ინტელექტისა და თვითდაჯერებულობის ერთმანეთთან შერწყმაა. გვჯერა, რომ იგი კიდევ ბევრჯერ გვასახელებს და იტყვის თავის სათქმელს.

ფანჩულიძეების საოჯახო ბიზნესი

„მცირე“ უწოდა მერაბ ფანჩულიძემ, ძმასთან, რამაზთან ერთად სამიოდე წლის წინ, წამოწყებულ საოჯახო ბიზნესს, თუმცა არც მაინცდამაინც „მცირეა“ საქმე, რომელსაც ეწევიან.

ძირძველი ოჯახის შვილები არიან ძმები, მაგრამ გარკვეულ წლებში აქ არ ცხოვრობდნენ, მამა-პაპის ფუძე არ უნდა წაიქცესო, ბავშვობიდან იცოდნენ. მართალია ქალაქში მუშაობდნენ, მაგრამ სისტემატიური კავშირი ჰქონდათ სოფელ ჩხარიეწერთან, მშობლიურ თემთან.

ბიზნესი მეღორეობით დაიწყეს, როგორც თვითონ თქვეს, მომგებიანი დარგით. ამჟამად ჰყავთ იოხშირის ჯიშის 13 დედაღორი 50 ნამატით. ეს ჯიში საბეკონე ყოფილა, იზრდება მაღალი წონის და უცხიმო. მოთხოვნა ამ ჯიშზე დიდია, სოფელშივე ჰყიდიან, რეალიზაცია არ ჭირს.

დაგეგმილი აქვთ ფერმის გაფართოება, ადგილზე გამოზრდიან 60 სულ საჯიშეს, რისთვისაც საღორის მშენებლობა-გაფართოების სამუშაოები დაწყებლია. ნამატი, პატარა „გოჭიკები“ გამსვლელი გალიებით ერთმანეთის გალიებში გადავლენ, დიდი სივრცე ექნებათ და მერე „საკუთარ გალიებში“ „დედებთან“ დაბრუნდებიან. ორმოები ბიობაქტერიულია, ხელსაყრელია ზრდისათვის, კვების რაციონიც შერჩეული აქვთ და ნამატი ჯანმრთელები არიან.

„აწარმოე საქართველოში“

ძმები ჩართულნი არიან პროექტში „აწარმოე საქართველოში“. პირველივე პროექტი მოიგეს, ბიზნეს გეგმა საუკეთესოდ მიიჩნიეს, მაგრამ მშენებლობა დაწყებული არ ჰქონდათ და თანხის გამოყოფაზე თავი შეიკავა შესაბამისმა სამსახურმა. მოგებული პროექტი ვერ გამოიყენეს. მაინც შეძლეს ის, რაც შეძლეს. ახლა მზადაა ახალი პროექტი, გამარჯვების იმედიც აქვთ.

მერაბ და რამაზ ფანჩულიძეები ნიჭიერი, გონიერი ბიზნესმენები არიან, რამდენიმე წელიწადში „მცირე“ ბიზნესი დიდ ბიზნესად გადაიქცევა, ეს ოჯახი ყოველთვის ძლიერი იყო და უფრო ძლიერი გახდება, უზრუნველყოფილნი არიან და იქნებიან მატერიალურად, გაფართოების შემთხვევაში სხვებსაც დაასაქმებენ.

სამომავლოდ...

დაწყებულია მარწყვის სათბურის მშენებლობა 160 კვ. მეტრზე, სოკოს გამოსაყვანი მეურნეობის მოწყობა დროდადრო ორივეს გაფართოება იქვე შეეძლებათ. კარგა ხანია მისდევენ ხილის წარმოებას, შარშან 7 ტონა ქლიავი და 2 ტონა ალექსანდრეულის ჯიშის მსხალი მოიწიეს, ამარაგებენ ისედაც მდიდარ ქართულ ბაზარს, როგორც პოეტი ამბობს „ხორაგეულით ბაზარს კალთა“ ფანჩულიძეების ბაღებში მოწეული ხილითაც აევსება.

* * *

მერაბ და რამაზ ფანჩულიძეებს საოჯახო ბიზნესის საქმიანობას სიქთარვის მაჟორიტარ დეპუტატ კოტე ამაშუკელთან, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელ გიზო ხანიაშვილთან და სპეციალისტ დათო გამეზარდაშვილთან ერთად გავეცანი. ფოტოები გიზომ გადაიღო, ისე, როგორც წინა კვირაში, ჩხარიეწრელების გზაზე ასფალტის დაგების დაწყების პირველ დღეს. ბატონ კოტეს პირველი თაობის „ნოკიის“ მფლობელი და ფოტოაპრატის არ მქონე ჟურნალისტის „გახარება“ უნდოდა და მითხრა „მაქვს სახლში ფოტოაპარატი, თუ ვნახე გათხოვებო. „მოგეცა ბარემ“, დავაკვალიანე და ამასობაში გიზო წამომეშველა, თუ არ გჭირდება აჩუქეო. კოტემ არაფერი თქვა, ეს სიჩუმე არ იყო თანხმობის ნიშანი.

იმ დღეს კოტე გაციებული იყო, აცემინებდა. „კორონამ ცემინება არ იცისო“ დაიიმედა თავი. მე იმედი არ მიმიცია. მანქანიდან რომ ჩამოვედი მადლობა გადავუხადე მეგზურობისთვის და მივაძახე „ფრთხილად მაინც, ხველით იწყება თქვა“ და მანქანას სწრაფად მოვცილდი.

ვერ შევაცდინეთ დეპუტატი, ვნახოთ თუ ხელახლა იყარა კენჭი, იქნებ გამოვიდეს რამე, ესაა, მე თუ დამჭირდება!

ჟუჟუნა ცხადაძე

ჩვენ ვიცავთ კულტურულ მემკვიდრეობას...

არის განსაკუთრებულად გამორჩეული და დასამახსოვრებელი დღეები, სწორედ ასეთი იყო 15 ივნისი ღვანკითის საჯარო სკოლაში. დღე, რომლის ხიბლს, მისი ყველა ღირებულებებით ერთნაირად ინაწილებდნენ მოსწავლეები, სკოლის პედკოლექტივი, ეკლესიის მოძღვარი, სოფლის ხელმძღვანელობა, აქტივი, მოსწავლეთა მშობლები თუ მოწვეული სტუმრები.

სკოლის ეზო, მისი ულამაზესი ხეივანი იმ დღეს რეალობაში გადმოსული ზღაპრული სამოთხის შთაბეჭდილებას ტოვებდა... ეს ლამაზი, ფერადი სამყარო სლოგანებითა და ამონარიდებით მოსწავლეთა ხელით დახატული თუ შექმნილი თვალსაჩინოებებით კი—„ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, ღვანკითის საჯარო სკოლაში განხორციელებული პროექტის—„კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“ შემაჯამებელი პრეზენტაციისათვის, მასში მონაწილე თითოეულმა კლასმა მოაწყო თავთავიანთი პავილიონებისათვის და შესაბამისად, აქტივობების წარმოდგენისათვის...

იმ დღეს, 12 საათისათვის ყველა და ყველაფერი მზადყოფნაშია ღონისძიების დასაწყებად...

პროექტის ხელმძღვანელი, ქალბატონი ეთერ ტურავა მიესალმა პროექტში მონაწილეებსა და სტუმრებს. ყველამ ერთად კი წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სკოლის ყოფილი დირექტორის, ქალბატონ ინეზა ზამთარაძის ხსოვნას, რომლის დირექტორობისას და მისი ჩართულობით დაიწყო პროექტი, ხოლო მისმა ტრაგიკულმა გარდაცვალებამ გარკვეული კორექტივები შეიტანა აქტივობებში...

სკოლა და შეკრებილი საზოგადოება დალოცა მოძღვარმა მამა ანდრიამ (ყიფიანი).

პროექტის ხელმძღვანელმა და თითოეული კლასის პედაგოგმა დამსწრე საზოგადოებას უამბო პროექტის მნიშვნელოვან მომენტებზე, შემაჯამებელი აქტივობისათვის მაყურებელს კიდევ ერთხელ შესთავაზეს მნიშვნელოვანი ამონარიდები და ფრაგმენტები... პროექტის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებებიდან.

პირველი აქტივობა, რომელშიც მთელი სკოლა ჩაერთო, იყო სადამრიგებლო კვირეული სახელწოდებით: „თუ გსმენიათ რაიმე ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და რის გაგებას ისურვებდით მომავალში“. კვირეული ყველა კლასში საინტერესოდ და განსხვავებული ფორმატით წარიმართა.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული განსაკუთრებული აქტივობა იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ქალბატონ მადიმი დოლაკიძის ინიციატივით და ორგანიზებით ჩატარებული სასკოლოთაშორისო კალიგრაფიის კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსწავლეები და მასწავლებლები იმერეთის, სამეგრელოს, კახეთის, ქვემო ქართლის სკოლებიდან. კონკურსისადმი დაინტერესება აღმოჩნდა საკმაოდ მაღალი. კონკურსანტები ნამუშევრებს აგზავნიდნენ ელექტრონულად. ყველა ნამუშევარი იყო ძალზე საინტერესო, უფრო მეტიც—მათი უმრავლესობა ქართული კალიგრაფიის ნიმუშს წარმოადგენდა. გამარჯვებულებს ასევე ელექტრონული დიპლომები გაეგზავნათ...

შემდეგ იყო კორონა და რთული დღეები, რომელსაც მოჰყვა სკოლის ტრაგედია. თითქოს შეწყდა სკოლის მაჯისცემა... თუმცა სკოლამ იპოვა თავისთავში ძალა და ძნელად, მაგრამ თანდათან მუშაობის ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა...

შემდეგ კი აქტივობა აქტივობას მოჰყვა და სასკოლო ცხოვრება მთლიანად პროექტის რელსებზე გადავიდა...

თითოეული პროექტი იმდენად საინტერესოდ იყო გააზრებული და განხორციელებული, რომ თავი ვალდებულად ჩავთვალეთ ყველა მათგანზე მცირე ფორმატში მაინც მოგვეთხრო, რაც დიდი მცდელობის მიუხედავად ორ საგაზეთო გვერდზე ნაკლებ მოცულობაში ვერ განვათავსეთ. ამდენად, ამჯერად გთავაზობთ მხოლოდ მათ ერთ ნაწილს.

„ენა ქართული დედაა ჩვენი“

ასე ერქვა აქტივობას, რომელიც პროექტის ფარგლებში ქალბატონ ცირა მურჯიკნელის ხელმძღვანელობით ჩატარდა III კლასში და ქართული ენის დღეს მიეძღვნა.

ეს იყო დიდი ინტელექტუალური შემეცნებითი ღონისძიება, რომელსაც ემოციების გარეშე ვერავინ მოისმენდა. მოსწავლეები ადიდებდნენ ქართულ ენას, მიანიშნებდნენ, რომ ქართული ენა დიდებულია თავისი სიღრმით, ფილოსოფიური დატვირთვით, უძველესი ფორმით, რომ ქართულმა ენამ და სარწმუნოებამ გადაარჩინა ჩვენი ერი, ჩვენი სამშობლო და ასე იქნება მომავალშიც. ქართულ ენაზე იწერებოდა უძველესი საგალობლები, ლოცვები... დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“, ეს ის ენაა, რომელზეც უფალი გვესაუბრება, რომელიც იოანე ზოსიმეს თქმით: ...„ლაზარეა, ყველა ენებს შორის იგი პირველი ენაა, მთავარი ენაა“.

ქართული ენა ღვთიური საგალობელია; ქართული ანბანი ვაზის ჩუქურთმაა, ამაღლებული ჩონგურია, ჩაქარგული ჩუქურთმაა, ხოლო დედა-ენა წიგნია, რომელსაც მადლიერმა ხალხმა ძეგლი აუგო“...

პროექტის შეჯამებისას, ისე როგორც მიმდინარე აქტივობაში საინტერესო ჩართვა ჰქონდა პირველკლასელებს

„დედა-ენა სიბრძნის წყარო“

პედაგოგმა ქალბატონმა ნანა ტყემალაძემ მიმოიხილა „დედა-ენა“, როგორც ქართული კულტურული მემკვიდრეობის ხელთუქმნელი ძეგლი. სკოლის ყველაზე პატარები კი საუბრობდნენ თუ როგორ დაეუფლნენ წერა-კითხვას და ეზიარნენ ანბანს ანუ 33 საოცრებას... ხოტბას ასხამდნენ დედაენას და აღნიშნავდნენ, რომ „დედა ენა“ სიბრძნის წიგნია, რომელშიც მთელი სამყაროა ჩატეული.

„დედა ენა“ შუქურაა, რომელიც წინ მიგვიძღვის და მართალია სანთლად დნება, მაგრამ ერის სამსახურში არასოდეს არ ბერდება.

„დედა ენა“ ის ჩირაღდანია, რომლითაც სიკეთის შენება ისწავლება;

„დედა ენა“ ის ჩირაღდანია, რომელიც გზას გვიკაფავს, სიბრძნეს გვასწავლის, სიცოცხლეს გვაყვარებს და ბედნიერი მომავლისაკენ მიგვაქანებს.

ბოლოს პატარებმა ისიც გვითხრეს, რომ „დედაენას“ დედასავით მოფერება სჭირდებაო, რომ ამ განძს თუ არ მოუარე, ისე ვერ იქართველებო“... ამით უფროსებსაც მიანიშნეს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს ჩვენგან დაცვა, მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

„ჩვენ ვხატავთ, ჩვენ ვძერწავთ“

ასე ერქვა სპეცპედაგოგების თეა წაქაძისა და დარეჯან სვანიძის მიერ ჩატარებულ აქტივობას, რომლის მიზანი იყო პროექტში მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა. პედაგოგებისაგან სათანადო რეკომენდაციების და რჩევების მიღების შემდეგ მოსწავლეემა შეძლეს თავიანთი ჩანაფიქრი ფანქრით თუ პლასტელინით შეესრულებინათ... ზოგი ხატავდა, ზოგი ძერწავდა და ამას ისინი ხალისითა და სიყვარულით აკეთებდნენ. აქტივობამ დაგვარწმუნა, რომ ბავშვების ფანტაზია და შესაძლებლობები ამოუწურავია, მთავარია მათ სწორი მიმართულება მივცეთ.

„ჩვენი სავიზიტო ბარათი“

მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური შემოქმედების უკვდავყოფას და ხალხური საკრავების პოპულარიზაციას მიეძღვნა ესთეტიკის კათედრის ხელმძღვანელის მარინა ბოჭორიშვილის მიერ V კლასში ჩატარებული ეს აქტივობა.

პედაგოგმა და მოსწავლეებმა წარმოადგინეს ინფორმაციები ქართულ ხალხურ საკრავებზე, გადმოცემდნენ თითოეული მათგანის დახასიათებას და შექმნის ისტორიას, აგებულებას, თავდაჯერებულად საუბრობდნენ ფანდურსა და ჩონგურზე, სალამურზე, გუდასტვირზე, ჭიპოსა და ზურნაზე, დუდუკზე, ჭიანურზე, დოლზე, დიპლიპიტოსა და ზინარზე... აქტივობაში მონაწილეობდნენ IV და VI კლასების მოსწავლეებიც. შესრულდა კომპოზიციები ფანდურსა და სალამურზე...

გაჩნდა იდეა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სკოლაში შეიქმნას ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი.

„რამდენი რამე არ გვცოდნია ხალხურ საკრავებზე, როგორ გავიზარდეთ დღეს, და... მიხარია, რომ ჩვენ ამ სკოლაში ვიზრდებით“—ეს პროექტის მართვის ჯგუფის წევრის, IX კლასის მოსწავლის ლიკა ცერცვაძის სიტყვებია აქტივობის შემდეგ.

რეპორტაჟი უბისადან...

პროექტის ერთ-ერთი აქტივობა მიზნად ისახავდა კათედრებს შორის თანამშრომლობას და პროექტის განხორციელებისას ინტერდისციპლინური კავშირების გათვალისწინებას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში შედგა საინტერესო და ნაყოფიერი თანამშრომლობა ქართულისა და მათემატიკის კათედრებს შორის. აქტივობის ხელმძღვანელები იყვნენ პედაგოგები მადიმი დოლაკიძე და ეთერ ტურავა.

მას შემდეგ, რაც X კლასში ჩატარდა გაკვეთილების სერია თემაზე „გრიგოლ ხანძთელი—ეკლესია-მონასტრების აღმშენებელი“, მოეწყო მოგზაურობა უბისას სამონასტრო კომპლექსში, რა დროსაც მოსწავლის მარიამ ცერცვაძის მიერ მომზადდა „რეპორტაჟი უბისიდან“, რომელიც ელექტრონული წიგნის სახით სოციალურ ქსელშიც გავრცელდა.

მოგზაურობის შემდეგ სკოლაში ჩატარდა თეორიული კონფერენცია, „მათემატიკა უბისას ხუროთმოძღვრებაში“. მოსწავლეებმა: მარიამ ცერცვაძემ, თათია ქარქაშაძემ, ნატალი ბუსკივაძემ, ლევან კოვზირიძემ და ზურა გავაშელაშვილმა წარმოადგინეს საინტერესო პრეზენტაციები, ისაუბრეს უბისას სამონასტრო კომპლექსის დაარსების ისტორიაზე, შესაბამის პერიოდზე, კომპლექსისადმი თამარ მეფის სიყვარულსა და ღვაწლზე, გაიხსენეს ხალხური ლექსიც: „უბისას ავაგე საყდარი“... მიმოიხილეს ფრესკები... ყოველივე ამის შემდეგ კი საინტერესოდ წარმოაჩინეს მათემატიკა უბისის ხუროთმოძღვრებაში, მის არქიტექტურაში... „მათემატიკა არის ანბანი, რომლითაც ღმერთმა აღწერაო სამყარო“—თქვა ნატალი ბუსკივაძემ და გალილეო გალილეის ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით.

„ქართული ანბანის ხეივანი“

პროექტის ფარგლეში სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ქალბატონ ელისო ჩიქოვანის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა „ქართული ანბანის ხეივანის“ გაშენებას და მისივე ორგანიზატორობით და ხელმძღვანელობით გაკეთდა კიდევაც. სკოლის ეზოში გამოიყო ადგილი და დაირგო 33 ძირი ხე. დირექტორის ინიციატივა აიტაცა მთელმა სკოლამ და ამ საშვილიშვილო საქმეში აქტიურად ჩაერთო მთელი კლასი. ამ აქტივობის ერთგვარი გაგრძელება იყო ისევ ელისო ჩიქოვანის ინიციატივა „დედაენის“ ბაღის მოწყობის თაობაზე. მონიშნულ ადგილას დაირგო ყვავილები...

„იქნებ ვაზია სამშობლო“

პროექტის ფარგლებში კიდევ ერთი ლამაზი აქტივობა განხორციელდა XI კლასელთა მიერ პედაგოგ მარინე ბუსკივაძის ხელმძღვანელობით. „იქნებ ვაზია სამშობლო“—აბა დააკვირდით თუ დაბლარია დაჩოქილმა უნდა დაკრიფო, თუ მაღლარია, ცაში ხელებაპყრობილმა. ორივე საოცრად გავს ლოცვას. ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს“. ეს ამონარიდია მასწავლებლის შესავალი სიტყვიდან, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ საქართველო ვაზისა და ღვინის ქვეყანაა, რომ ქართველი კაცი ვაზს უხსოვარი დროიდან ეთაყვანება, რის დასტურადაც მოიშველია საქართველოში ველური ვაზის ჯიშის უსურვაზის არსებობა, რომ ვაზი ერის სიამაყე და მშვენებაა, ჩვენი ჭირისა და ლხინის თანაზიარია, რომ ღვთაებრივია ქართველი ხალხის სიყვარული ვაზისადმი, რომ საქართველოს მრავაფეროვანი ბუნების წიაღში ვაზის უამრავი ფორმა და ჯიში არსებობს...

ვაზის ფორმებზე, მის ჯიშებზე, ქართულ ჭურ-მარანზე, საქართველოს გაქრისტიანებასა და ქართული ღვინის შექმნის ლეგენდებზე, შესაწირავ ღვინოებზე, ზედაშეებზე, ვაზისადმი მიძღვნილ საგალობლებზე უკვე მოსწავლეებმა ისაუბრეს თავიანთ პრეზენტაციებში. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს დავით აღმაშენებლის შვილის, დემეტრეს მიერ შექმნილ საგალობელს „შენ ხარ ვენახი“, გაიხსენეს წმინდა ნინო, რომელმაც ვაზისაგან შეკრული ჯვრით ქართლოსს ქრისტეს რჯული უქადაგა.

საინტერესო პრეზენტაციები დასრულდა შიო მღვიმის მონასტრის მარნის ისტორიით, რომელიც თავისი სიუხვით და ბარაქით ქართველთათვის კეთილდღეობის სიმბოლოდ იქცა...

იყო სამი სხვადასხვა სახეობის ღვინის დეგუსტაციაც...

მზია ცქიფურიშვილი

გაგრძელება შემდეგ ნომერში

საფეხბურთო ჩემპიონატები დამთავრდა...

ფეხბურთის გულშემატკივრებმა ივნის-ივლისში ერთბაშად ორი მნიშვნელოვანი საფეხბურთო ტურნირის მატჩებით მიიღეს ტკბობა... ერთი ეს გახლავთ საყოველთაოდ ცნობილი საფეხბურთო ტურნირი „კოპა ამერიკა“, მეორე კი ევროპის ჩემპიონატი - „ევრო-2020“

გაზეთის წინა ნომერში ჩვენ გესაუბრეთ ევროპის ჩემპიონატის თაობაზე, მის ისტორიაზე, წარმოგიდგინეთ კორონას გამო წინა წლიდან გადმოტანილი ამ ჩემპიონატის მონაწილე გუნდები.

ახლა კი იმას გეტვით ხაზგასმით, რომ მის ფინალში ერთმანეთს ორი მსოფლიო



საფეხბურთო გრანდი, ინგლისი და იტალია დაუპირისპირდა ერთმანეთს. რა თქმა უნდა, დიდი მოლოდინი იყო, რომ ინგლისელები საკუთარ სახლში—ლონდონის „უემბლიზე“ ევროპის ჩემპიონობას მოიპოვებდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ძირითად და დამატებით დროში გაცვლილი თითო გოლის შემდეგ დარტყმული პენალტები „სკუადრა აძურას“ სასარგებლო აღმოჩნდა და 2021 წელს ჩატარებული „ევრო 2020“-ის ჩემპიონებიც ისინი გახდნენ.

„კოპა ამერიკა“ — ეს მთავარი საერთაშორისო ტურნირია ამერიკის კონტინენტზე. ტარდება CONMEBOL-ის (სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია) ეგიდით. არის მსოფლიოში ყველაზე ძველი საერთაშორისო ტურნირი. პირველად ჩატარდა 1916 წელს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყოველ ჩემპიონატზე სხვა კონტინენტებიდან იწვევენ 2 ან 3 ნაკრებს. 1993 წლიდან მექსიკა რეგულალურადაა მოწვეული. მონაწილე წევრები არიან არგენტინა, ჩილე, ბრაზილია, პერუ ბოლივია, კოლუმბია, ეკვადორი, პარაგვაი, ვენესუელა. ურუგვაი.

CONMEBOL-ს წევრი ათი ქვეყნიდან რვამ შეძლო ამ ტურნირში ერთხელ მაინც გამარჯვება. მხოლოდ ეკვადორი და ვენესუელა არის ის ქვეყნები, ვისაც „კოპა ამერიკა“ არასდროს მოუგია. ყველაზე წარამტებული ქვეყანა ურუგვაია, რომელმაც 15 ჯერ აღმართა ეს თასი. მეორეზე არგენტინაა 14 გამარჯვებით და მესამეზე ბრაზილია 9 ტიტულით. აშშ გახდა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქვეყანა სამხრეთ ამერიკის კონტინეტის მიღმა, რომელმაც კოპა ამერიკას უმასპინძლა (2016 წელი).

წელს არგენტინელებმა ძველ 14 გამარჯვებას მე-15 ჩემპიონობაც მიუმატეს. მათ ბრაზილიელები შინ, რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანაზე“ დაამარცხეს ერთადერთი გოლის წყალობით.

საქართველოს სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატი „მოყვარულთა ლიგა“. 2021 წლის სეზონი

„მოყვარულთა ლიგა“ ოფიციალური სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატია, დიდ ფეხბურთში (11x11), რომლის ორგანიზატორია საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად.

ჩემპიონატის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და პოპულარიზაცია საზოგადოებაში; ფეხბურთის მასობრიობა; სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა; ახალგაზრდებისა და ვეტერანი სპორტსმენების ჩართულობა; ფეხბურთის, როგორც სოციალური მოვლენის დამკვიდრება ქვეყნის მასშტაბით.

თერჯოლის მუნიციპალური ეტაპის მატჩები პერიოდულად შაბათ-კვირას იმართებოდა თერჯოლის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც მონაწილეობა საერთო ჯამში 12 სამოყვარულო საფეხბურთო გუნდმა მიიღო. მუნიციპალიტეტების საუკეთესო სამოყვარულო საფეხბურთო გუნდები, ტერიტორიულობის პრინციპით, შესაბამის რეგიონულ ლიგებში ითამაშებენ.

პროექტის პარტნიორები არიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

სამოყვარულო ჩემპიონატის თერჯოლის ეტაპი თერჯოლის ცენტრალირ სტადიონზე მერიისა და ქვედა სიმონეთელთა შეხვედრით გაიხსნა. ჩემპიონატის გახსნის მატჩს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი, მერის მოადგილეები, ფეხბურთის მოყვარულები. შეხვედრა ქვედა სიმონეთელთა გამარჯვებით დასრულდა.

მეტად დაძაბული გამოდგა ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბარდუბანი-თერჯოლის მატჩი, რომელსაც ორჯერ იგებდნენ ბარდუბნელები. ხაზგასასმელია, რომ პირველი გოლით დაწინაურების შემდეგ მათ საკუთარ კარში ორი გოლი მიიღეს, მაგრამ ამ ორ გოლს თავადაც ორი გოლით უპასუხეს და კვლავ დაწინაურდნენ, თუმცა თერჯოლელებმა თამაში მაინც გაათანაბრეს. საბოლოოდ საქმე პენალტებამდე მივიდა. ფორტუნა თერჯოლელთა მხარეს აღმოჩნდა და ფინალშიც ისინი გავიდნენ, სადაც სიქთარველებთან ანგარიშით 3:2 დამარცხდნენ.

ფინალის მონაწილეებს — გამარჯვებულ სიქთარველებს ოქროს მედლები და გარდამავალი თასი, ხოლო დამარცხებულ თერჯოლელებს ვერცხლის მედლები მერის პირველმა მოადგილემ **მანუჩარ რობაქიძემ** და მერის მოადგილემ **მირზა ქოჩიაშვილმა** გადასცეს.

P.S. საინტერესო დამთხვევა — ყველა ფინალი „კოპა-ამერიკა“, „ევრო 2020“ და ქართული სამოყვარულო ფეხბურთის 2021-ის თერჯოლის ეტაპი 11 ივლისს გაიმართა. ფინალში ყველა მასპინძელი საკუთარ სტადიონზე დამარცხდა—ბრაზილიელები რიო-დე-ჟანეიროში „მარაკანაზე“, ინგლისელები ლონდონში „უემბლიზე“ და თერჯოლელები თერჯოლის ცენტრალურზე...

ჩვენებური საფრანგეთში

ავთანდილ ბოგვერაძე თერჯოლელია. იგი აქ დაიბადა, სოფელ ეწერში იზრდებოდა. მოხდა ისე, რომ ბოგვერაძეები საცხოვრებლად ქუთაისში გადავიდნენ, სადაც ავთანდილმა



საშუალო სკოლა დაამთავრა. სწორედ ქუთაისში დაიწყო მისი სპორტული ცხოვრება. იგი როგორც ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდა, ერთხანს ჭიდაობით იყო გატაცებული, მოგვიანებით კი რაგბით დაინტერესდა. მკითხველმა კარგად იცის, რომ სპორტის ამ სახემ ბოლო ათწლეულებში დიდი პოპულარობა მოიპოვა საქართველოში და რა თქმა უნდა, ქუთაისშიც, რომელსაც ორი სარაგბიო გუნდი ჰყავდა საქართველოს ჩემპიონატზე—„აია“ და „ბაგრატი“. ავთანდილი ერთხანს „ბაგრატში“ თამაშობდა და წარმატებულიც იყო. შემდეგ კარიერა საფრანგეთში გააგრძელა.

ჩვენთან საუბარში მან თქვა: „2017-2018 წლების სეზონში ვთამაშობდი საფრანგეთის sporting club Tulle corréze-ში.

2018-2019 წლების სეზონში კლუბ Annony-ში, სადაც შევიძინე ბევრი მეგობარი, განსაკუთრებით გამოვარჩევ და ბედნიერი ვარ, რომ მომიწია მუშაობა ზელანდიელ Koula tukino-სთან, რომელიც წარსულში ლეგენდარული მორაგბე იყო.

2019-2020 წლებში ხელი მოვაწერე 2 წლიან კონტრაქტს ჩემს ძველ კლუბთან (tulle corréze) ანუ დავბრუნდი იმ გუნდში, სადაც პირველად დაიწყო ჩემი ევროპული კარიერა“.

ფრანგული პრესა, რომელიც მაღალპროფესიულად აშუქებს სპორტის ამ სახეობის ამბებს, ბევრჯერ წერდა ავთანდილ ბოგვერაძის კარგ თამაშზე. სურათი, ერთი სათამაშო მომენტიდან, რომელსაც აქვე გთავაზობთ, სწორედ ერთ-ერთ ასეთ ფრანგულ გაზეთშია (LAMONTAGNE) დაბეჭდილი შესაბამისი კომენტარებით.

COMBAT. À l'image de Bogveradze qui tente de s'extraire de la défense arédienne, le combat a été de tous les instants, hier, à Tulle. PHOTO AGNÈS GAUDIN

ჩვენც მისი მშობლიური რაიონიდან შევუერთდეთ ფრანგულ პრესას და დიდი წარმატებები ვუსურვოთ მას სპორტულ კარიერაში!

იური თორთლაძე

82 წლისა გარდაიცვალა უფროსი თაობის ერთი გამორჩეული წარმომადგენელი იური თორთლაძე. კეთილშობილება და სიმართლე იყო მისი მთავარი მახასიათებელი. უხმაუროდ აკეთებდა პირადულ თუ მინდობილ საზოგადოებრივ საკეთებელ საქმეს. მზად იყო გვერდში დადგომოდა მოყვასს. ერთგულებდა ოდითგან პატიოსანი და გამრჯე ოჯახის ტრადიციებს. მეუღლესთან, ქალბატონ იზოსთან ერთად, ამ პრინციპებით ზრდიდა შვილებსა და შვილიშვილებს.

ფიზიკურად ძლიერს, სულიერად მხნეს, ფუძეძლიერი ოჯახის წინამძღოლსა და ბურჯს კიდევ დიდხანს უნდა ეცოცხლა და ეცხოვრა, მაგრამ... ალეკო!...

საყვარელი შვილის მოულოდნელად დაღუპვას ვერ გაუძლო, ვერ მოერია.

ეს ყოფილა მისი ბედისწერა.

ახლა ამ ყველაფერს მოგონება და გაუნელებელი ტკივილი ჰქვია.

ამიერიდან თავის მონატრებულ შვილთან, თავის ალეკოსთან ერთად იქნება.

მშვიდად განისვენონ და ნათელში ამყოფოთ მათი სულები.

საახლობლო

სტრიქონები

სიყვარული? ყოველი კეთილი სიყვარულის შედეგია. ბევრი სისულელეც აქვს ჩადენილი!..

***

სიზარმაცის დაუძინებული მტერი?

—შრომა!

***

რისკი საფრთხილო საქმეა.

სიფრთხილეც.

***

თუ ეს სამშობლოს ღირსებას ნიშნავს, უნდა წახვიდე აკრძალული გზითაც კი.

***

შორეული მგზავრობით დაღლილს „თერჯოლის შემოსახვევში“ რაღაც გვემართება. ალბათ, ეს არის „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი!“

***

დიდებული სანახავია მზის ჩასვლისას დასალიერი, მაგრამ გაფიქრებთ კიდეც—როგორი იქნება ღამე?..

***

„ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა უნდა ვიაროთ, რომ დიდი გალაკტიონივით შევიგრძნოთ მამული.

***

როცა ვლოცულობთ, ცრურწმენა სიბნელეში იმალება.

***

განდიდების მანია—სულმდაბლობა.

***

ვინც შურისაგან თავისუფალია—თავის უფალია.

***

ცუდია ენა ღვარძლიანი,

ენა ტკბილად მოუბარი—გამძლე არი.

***

ზევიდან თუ დასცქერთ სხვებს

თქვენს ახლომხედველობაზე მიანიშნებს.

***

წიგნი გვასწავლის, როგორ ვისწავლოთ. წიგნი გვასწავლის, როგორ ვიცხოვროთ.

***

ნუ ვატკენთ ადამიანებს გულს—ეს ძალიან ადვილია.

***

თუ გვეპატიჟებიან ყავაზე

—ნუ გავდებთ კუდს ყავარზე!

***

შეიძლება არ ვმღეროდეთ, არც ცეკვა გამოგვდიოდეს, მაგრამ, ლაპარაკი კი უნდა მოვიხერხოთ!

***

სხვათა გაკილვა ადვილი არ არის, მაგრამ ადვილად ვახერხებთ.

თავშეკავება ადვილია, არადა ხშირად გვიჭირს!

***

ბერნარდ შოუ ენამწარე იყო. ენამწარე იყო უინსტონ ჩერჩილიც, მაგრამ შვენოდათ ეს. დიდები იყვნენ!

***

გულდასაწყვეტი რა მაქვს ამ ქვეყანაზე? არც არაფერი. ჩემი სამშობლო ხომ საქართველოა, სხვა, მეტი სიმდიდრე რა უნდა მქონდეს?

ადამიანის, მუდმივი სასჯელი—დარდი!

***

დარიალთან თერგი კლდეთა სიმტკიცეს, რომ ამოწმებს, ჩემი სამშობლოა.

***

ადამიანის გემოვნება მის ჭიშკარშიც ამოიცნობა.

***

ის, ვინც წიგნს არ კითხულობს უბედურია, მაგრამ კარგია, რომ ამ უბედურებას ვერ გრძნობს.

***

მავანი მოდის, გვერდზე არ მოგიხედავს, არადა, როგორ გინდა—კაი გამარჯობა უთხრა!

***

ჩვენი პირადობის მოწმობა—ოდნავ გაღიმება და დაუმადლებელი სალამი.

***

საქმის მიმართ დამოკიდებულება—მოვალეობა და სიყვარულია.

***

შ რ ო მ ა ? ! — ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი ტკბობა.

***

პატარა საქმეს თუ უყურადღებოდ მივატოვებთ, შეიძლება დიდი საქმე მიგვატოვებინოს.

***

საბრალო ზარმაცები—მათ არ იციან შრომით მიღებული ტკბობა.

ნუგზარ იშხნელი

მაგული გოგიძე

ერთი წელი გავიდა, რაც ოჯახს გამოაკლდა და სამარადისო საუფლოში გადასახლდა უკეთილშობილესი ქალბატონი, მაგული (მაგლო) გოგიძე. ერთგული მეუღლე, მოსიყვარულე დედა და ბებია, ჭირსა და ლხინში გვერდში მდგომი ახლობელ-ნათესავისა და მეზობლისადმი.

რა სწრაფად გადის დრო. მისი ცხოვრების კალენდარზე კრიალოსნის მძივებივით ჩამოიმარცვლა 71 წელი. თითქოს გუშინ იყო სრულიად ახალგაზრდამ, ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა, თავისი ბედი სიყვარულით რომ დაუკავშირა ამირან მარუაშვილს. მასთან ერთად შექმნა ძვირფასი ოჯახი, ჭეშმარიტი ქართული ტრადიციებით ნასაზრდოები. აღზარდა ქალ-ვაჟი საუკეთესო მოქალაქეებად, დაიხუნძლა შვილიშვილებით და შვილთაშვილებით.

ახსოვთ იგი ყველას, კუთხე-მეზობლიდან, გულკეთილი და გულუხვი, ნათელი და იმედიანი ღიმილით, დღენიადაგ ეზო-გარემოში მოფუსფუსე, მისი მადლიანი ხელით გაწყობილი სუფრა, უანგაროდ, გულით გაცემული სიკეთე და რაც განსაკუთრებულად აღსანიშნავია ბევრ, ძალიან ბევრ ახალშობილის დედას ახსოვს მისი დედობრივი ზრუნვა, ალალი მილოცვა და დალოცვა ახლად შეძენილი შვილის გამო. იგი ხომ 4 ათეულ წელზე მეტი, თერჯოლის სამშობიარო სახლის შრომითი კოლექტივის ერთ-ერთი გამორჩეული და სამაგალითო წევრი იყო. ყოველი სამუშაო დღე-ღამის შემდეგ შინ დაბრუნებული, დაქანცული მაგრამ ბედნიერი, მთელ კუთხეს აგებინებდა: წუხელის ვაჟიანობა იყო, ნეტავ იცოდეთ რა ბიჭები დაიბადნენო. ამჯერად გოგონები დაიბადნენ, მაგრამ რა გოგონები, რომელი ბიჭი აჯობებსო.

უყვარდათ იგი სამედიცინო პერსონალში, აფასებდნენ როგორც მაღალკვალიფიციურ და ავტორიტეტულ მუშაკს.

მაგული გოგიძემ ღირსეულად განვლო თავისი ცხოვრების გზა და ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

ოჯახი და შთამომავლობა უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით მოიგონებენ და სამარადჟამო პატივს მიაგებენ ქალბატონი მაგულის ხსოვნას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

მეზობელ-ახლობლები

ნანა ბეღელაძე

„სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს, მეხის გავარდნას ჰგავდეს სიკვდილი“

მოულოდნელი უბედურება, ჯერ გაკვირვებას იწვევს, მერე სევდას, უფრო მერე კი დიდ მწუხარებას და სინანულს, იმაზე, ფიქრით ვინც იყო და წავიდა, ვინც აღარ იქნება არასდროს.

მართლაც, მეხის გავარდნას გავდა შენი გარდაცვალება, ჩვენო ნანა, ჩვენო დიდო ტკივილო.

ძნელია ჩვენთვის, შენი გამწარებული დედისთვის, რომელიც შენი სურათით ხელში მთელი დღე ტირილში ატარებს, შენი მზრუნველი მეუღლისთვის, შვილებისთვის, შენი არყოფნით გამოწვეული ტკივილი, რომელიც არასდროს განელდება.

რა მალე გავიდა უდიდესი ტკივილით და ცრემლებით სავსე ორმოცი დღე უშენოდ.

რაც გაიარე, ღირსეული იყო და მისაბაძი, იყავი ზრდილი, განათლებული, ალალი, პატიოსანი, ერთგული და მოსიყვარულე.

ნაადრევად წახვედი, დატოვე გამწარებული მოხუცი დედა. მოსიყვარულე მეუღლე, შვილები: უფროსი ნოდარი სტუდენტი, ხოლო გიორგი მოსწავლე, სწორედ ამ ასაკში სჭირდებოდათ მათ დედის მზრუნველი ხელი და ყურადღება. ბიჭები ჭკვიანები არიან, ისინი არასოდეს შეარცხვრნენ დედის სახელს და საფლავს.

უფალმა უწინამძღვროს ნანა შენი წმინდა სულის სიმშვიდეს ზეციურ სამყაროში, სადაც მართალნი განისვენებენ.

მშვიდობით.

უფალს ებარებოდე ჩვენო ძვირფასო ნანა.

დედა, ძმა, რძალი, ძმისშვილები

წავიდა კაცი...



ოთარ შეყრილაძე გარდაიცვალა... ამ ხმამ დათრგუნა თერჯოლელები, ცრემლი გააბრწყინა არაერთ თვალში...

9 ათეული ცოტა არ არის, მაგრამ გული მაინც გტკივა, გეთანაღრება, რადგან იცი, რომ ამ წლების მიღმა ერთი საუკეთესო კაცის, პედაგოგის ღირსეული ისტორიაა.

წავიდა განუმეორებელი ხიბლის ოთარ მასწავლებელი, უბადლო პედაგოგი, ოჯახის თავკაცი, მამა, ბაბუა და მოქალაქე...

მაღალი, გაძვალებული, ერთი შეხედვით პირქუში კაცი, ულიმილო, სიტყვაძუნწი, მაგრამ საქმით მეტყველი კაცი უყვარდა ყველას: დიდსა და პატარას, შინაურსა და გარეულს.

გლეხის ოჯახში დაბადებულმა კარგად იცოდა შრომის ფასი, მისი ყოველი სიტყვა თუ საქმე ნამუსით იყო ნაგვირისტები.

მოსწავლეებს იგი უყვარდათ თავისი კომპეტენციის, პასუხისმგებლობისა და ადამიანური სიკეთის გამო. ისინი მასში ხედავდნენ უფროს მეგობარს, მრჩეველს, მასწავლებელს, ციფრების ჯადოსნურ სამყაროში თავს ლაღად რომ აგრძნობინებდა.

იყო რიგითი პედაგოგი, ხელმძღვანელიც, მაგრამ ურთიერთობაში არასდროს არაფერი შეშლია. არავის ახსოვს მისი ხმამაღალი სიტყვა, არაკორექტული ნათქვამი. თავმდაბლობა მისი გამორჩეული თვისება იყო.

ჩუმი იყო, მოკრძალებული, ძუნწად მომღიმარი, მაგრამ თვალით ასხივებდა სიმშვიდესა და სიყვარულს.

თავისი ცხოვრების ნახევარი ერთ სკოლას ისე უერთგულა, რომ მასზე არავის უთქვამს აუგი, მისთვის მოწიწებული სალამი არავის დაუშურებია.

კაცი კაცია, მაგრამ პედაგოგი კაცი ორჯერ კაცია, ყველასათვის საიმედო, ნამუსის თვალის მზირალი, მომავალი თაობების ერთგული დარაჯი და ჩამომძერწავი.

ოთარ მასწავლებელს მოწიწებით გაიხსენებს ყველა კოლეგა და აღზრდილი, რადგან იგი პედაგოგიური ღირსების ეტალონია.

წავიდა ოთარ მასწავლებელი ისევე ჩუმად, მშვიდად და უპრეტენზიოდ, როგორიც თავად იყო.

თერჯოლის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგები, აღზრდილები და მათი მშობლები იზიარებენ ოჯახის წუხილს და იმედად რჩებათ ამ დიდებული კაცის ფესვზე ამოზრდილი ღირსეული ახალგაზრდა, ბაბუის სახელისა და კაცობის საიმედო გამგრძელებელი.

თერჯოლის №1 საჯარო სკოლა

სსიპ ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თერჯოლის წარმომადგენელი ანდრო ვაშაკიძე ომის ვეტერანებთან ერთად თანაუგრძნობს ომის ვეტერანს გია ლილუაშვილს დედის

ვარდო (ლოლა) კიკნაველიძე-ლილუაშვილისა

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლას“ რედაქცია თანაუგრძნობს ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატს თერჯოლის საკრებულოში გია ლილუაშვილს დედის

ვარდო (ლოლა) კიკნაველიძე-ლილუაშვილისა

გარდაცვალების გამო.

ჯილდო ორიგინალურ სცენურ დუეტს...

თეატრალური ხელოვნების მოყვარულებისათვის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა 12 წლის წინ ქუთაისში, უდიდესი თეატრალური ტრადიციების ქალაქში, ფესტივალის „თეატრალური იმერეთის“ დაფუძნება, რომელშიც იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტის თეატრალური კოლექტივი ღებულობს მონაწილეობას.

ფესტივალის მხარდამჭერები საქართველოს კულტურის სამინისტრო, თეატრალური საზოგადოება, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია და იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტები არიან.

პროექტს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და იმერეთის თეატრალური საზოგადოება ერთობლივად ახორციელებენ...

აღნიშნული ფესტივალი ყოველწლიურად უფრო მასშტაბური ხდება და მასში, იმერეთის მუნიციპალიტეტების თეატრალური კოლექტივების გარდა, სხვა დასებიც მონაწილეობენ. ამიტომაც, თეატრალურ ფესტივალს უკვე ხუთი წელია საერთაშორისო ფესტივალის სახელი აქვს მინიჭებული...

წლევანდელი თეატრალური ფესტივალი 17 ივნისს გაიხსნა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში, ამავე თეატრის დასის მიერ წარმოდგენილი ფლორიან ზელერის პიესით „სიმართლე“, რეჟისორი გიორგი შალიტაშვილი.

ფესტივალის გახსნას მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია დაესწრნენ ფესტივალის მონაწილეებთან და თეატრის მოყვარულებთან ერთად.



შემდეგ დღეებში კი იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტის თეატრალური კოლექტივი საინტერესო სპექტაკლებით წარსდგა მაყურებელთა წინაშე.

საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
"თეატრალური იმერეთი-2021"

დიპლომი

გადაეცემა თერჯოლის სახალხო თეატრის მსახიობს ზვიად მაკარიძეს
თ ე ა ტ რ ა ლ ურ ფ ე ს ტ ი ვ ა ლ ში
ნომინაციაში - ორიგინაური სცენური დუეტი
სპექტაკლისათვის "ემიგრანტები"

ფესტივალის დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი: ლევან რობაქიძე
ქიურის თავმჯდომარე: ლაშა ჩხარტიშვილი

საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
"თეატრალური იმერეთი-2021"

დიპლომი

გადაეცემა თერჯოლის სახალხო თეატრის მსახიობს დიმა არეშიძეს
თ ე ა ტ რ ა ლ ურ ფ ე ს ტ ი ვ ა ლ ში
ნომინაციაში - ორიგინაური სცენური დუეტი
სპექტაკლისათვის "ემიგრანტები"

ფესტივალის დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი: ლევან რობაქიძე
ქიურის თავმჯდომარე: ლაშა ჩხარტიშვილი

წარმოდგენებს აფასებდა პროფესიული ჟიური და ფესტივალის ბოლოს სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება სწორედ მათი შეფასება-გადაწყვეტილებით მოხდა.

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით თერჯოლის სახალხო თეატრი ფესტივალზე სლავომირ მროჟეკის პიესის მიხედვით მომზადებული სპექტაკლით „ემიგრანტები“ წარსდგა (რეჟისორი მამუკა ცერცვაძე). სპექტაკლს, რომელსაც მხოლოდ ორი მსახიობი თამაშობდა, კარგი საფესტივალო წარმატება ხვდა. ორივეს—**დიმა არეშიძესა** და **ზვიად მაკარიძეს,** ორიგინალური სცენური დუეტისათვის დაწესებული მეტად საპატიო ჯილდო გადაეცათ.

ვულოცავთ!

ტრადიციული ვერნისაჟი და დაგვიანებული მოწმობები



კიდევ ერთი, მორიგი ლამაზი ვერნისაჟი გვაჩუქეს ჩვენი სამხატვრო სკოლის ნიჭიერმა ახალგაზრდებმა. ვერნისაჟი სასწავლო წლის დამთავრებას მიეძღვნა. მართალია, მიმდინარე წელს სამხატვრო სკოლას დამამთავრებელი ჯგუფი არ ჰყოლია, მაგრამ სკოლის დამთავრების მოწმობების გადაცემა მაინც შედგა და ამ საქმეში იმ „კორონას“ დამსახურებაა, რის გამოც შარშან სკოლის დამთავრების მოწმობების გადაცემის ტრადიციული ცერემონიალი ვერ გაიმართა. შარშან კი, სკოლა ოთხმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ დაამთავრა. **თედო ხუსკივაძე, ქრისტინე ჩიტიძე, დათო მაკარიძე** და **თათია ქარქაშაძე** დღეს ჩვენი ქვეყნის პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები არიან.

მართალია, მათ სულ სხვა პროფესიები აირჩიეს, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, რომ ისინი ისეთივე შრომისმოყვარეობას და ნიჭიერებას გამოავლენენ, როგორც მშობლიურ თერჯოლაში სწავლისას. წარმატებებს ვუსურვებთ მათ!

კურსდამთავრებულებს ჩვეული თბილი, მზრუნველი და დამრიგებლური სიტყვით მიმართა და სკოლის დამთავრების დიპლომები გადასცა სამხატვრო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა თამარ ღარიბაშვილმა.

ვერნისაჟმა სკოლის ისტორიაში მორიგი ახალი საინტერესო გვერდი შეავსო.

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა,კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი,ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872